

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
აცხადებს კონკურსს

მისი მმართველობის სფეროში შემავალი
პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო
ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევად

კონკურსი ცხადდება შემდეგ პროფესიულ სახელმწიფო თეატრებში:

1. სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
2. სსიპ თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
3. სსიპ თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი
4. სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი
5. სსიპ თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი
6. სსიპ თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი
7. სსიპ თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი
8. სსიპ ჩრდილების პროფესიული სახელმწიფო თეატრი „აფხაზეთი“
9. სსიპ თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
10. სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
11. სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
12. სსიპ ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი
13. სსიპ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
14. სსიპ ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

15. სსიპ ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
16. სსიპ ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
17. სსიპ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი
18. სსიპ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
19. სსიპ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
20. სსიპ ოზურგეთის ალექსანდრე წუნუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
21. სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
22. სსიპ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
23. სსიპ ზინაიდა კვერენჩილაძის სახელობის ღმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

„პროფესიული სახელმწიფო თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად:

„სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს უმაღლესი სახელოვნებო განათლების მქონე პირი, პროფესიით რეჟისორი ან მსახიობი, ოპერისა და ბალეტის თეატრში – პროფესიით დირიჟორი ან უმაღლესი სამუსიკო განათლების მქონე სხვა პირი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში – სახელოვნებო გამოცდილების, აღიარების, თვალსაჩინო დამსახურების მქონე პირი.

სამხატვრო ხელმძღვანელი:

- ა) არის თეატრის საერთო ხელმძღვანელი;
- ბ) პასუხისმგებელია თეატრის საერთო საქმიანობაზე;
- გ) განსაზღვრავს სამტატო ერთეულების რაოდენობას, სახელოვნებო განაკვეთს და თეატრალური საქმიანობის წახალისების ფორმებს საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- დ) თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის წევრებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს არაუმეტეს 4 წლის ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მისი უფლებამოსილების ვადის გასვლიდან 6 თვეს. 4 წელზე მეტი ვადის შემთხვევაში სამხატვრო ხელმძღვანელი შრომით ხელშეკრულებებს დებს მინისტრთან შეთანხმებით;
- ე) საჭიროების შემთხვევაში მონვეულ სპეციალისტებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს შესაბამისი ვადით;
- ვ) უზრუნველყოფს რეჟისორის (რეჟისორების) მოზიდვასა და დასაქმებას თეატრის შემოქმედებითი ზრდის, რეპერტუარის მრავალფეროვნებისა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით;

ზ) უზრუნველყოფს მსახიობთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას და მათ პროფესიულ ზრდას;

თ) ხელმძღვანელობს სამხატვრო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავარ რეჟისორს, მთავარ დირიჟორს, მთავარ ბალეტმასტერს, მთავარ ქორმაისტერს, მთავარ მხატვარს;

კ) თეატრის დირექტორთან ერთად წყვეტს ადმინისტრაციულ-ტექნიკურ და ფინანსურ საკითხებს;

ლ) შეუძლია მოახდინოს ცალკეული უფლებამოსილებების დელეგირება თეატრის დირექტორზე (უფლებამოსილების დელეგირება სამხატვრო ხელმძღვანელს არ ათავისუფლებს თეატრის საერთო საქმიანობაზე პასუხისმგებლობისაგან).“

კანდიდატთა წარდგენის წესი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ თეატრალური საქმიანობით დაკავებულ იურიდიულ პირებს, რომელთაც გააჩნიათ საქმიანობის არანაკლებ ათწლიანი გამოცდილება და თეატრალური საქმიანობით დაკავებული პირებისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფებს არანაკლებ ხუთი წევრის შემადგენლობით.

ცალკეულ საინიციატივო ჯგუფს და პროფესიულ სახელმწიფო თეატრებს აქვთ მხოლოდ თითო კანდიდატურის წარდგენის უფლება.

თეატრალური საქმიანობით დაკავებულ სხვა იურიდიულ პირებს, პროფესიული სახელმწიფო თეატრების გარდა, აქვთ არაუმეტეს სამი კანდიდატურის წარდგენის უფლება არაუმეტეს სამ სხვადასხვა თეატრში (ცალკეულ თეატრში მხოლოდ ერთი კანდიდატურის).

სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრებმა კანდიდატურა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი თეატრის დასის საერთო კრების საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნული საოქმო ჩანაწერი თან უნდა დაერთოს წარდგინებას.

ერთი და იგივე პირი შეიძლება, წარდგენილი იქნეს რამდენიმე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატად.

კონკურსში მონაწილეობისათვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. წარდგინება მინისტრის სახელზე;
2. კანდიდატის ვრცელი CV (შესაძლებელია, წარმოდგენილი იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია კანდიდატის შემოქმედებითი, ადმინისტრაციული და მენეჯერული საქმიანობის შესახებ);
3. კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ან პასპორტის ასლი;
4. კანდიდატის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;
5. თეატრის განვითარების სტრატეგია, სადაც დეტალურად იქნება გადმოცემული თეატრის საქმიანობის 4-წლიანი გეგმა, რომელიც სასურველია, მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

- ა) თეატრის სარეპერტუარო და სადადგმო პოლიტიკა;
- ბ) შემოქმედებითი კოლექტივის პოტენციალის განვითარების ხედვა და ახალგაზრდა რეჟისორების, მსახიობებისა და დრამატურგების თეატრში მოზიდვის გზები;
- გ) თეატრის მარკეტინგული და PR საქმიანობის სტრატეგია; საერთაშორისო ასპარეზზე თეატრის შემოქმედების წარმოჩენის ხედვა;
- დ) თეატრის სტრუქტურული მონაცემები;
- ე) თეატრის 4-წლიანი განვითარების სავარაუდო ბიუჯეტი, განწერილი არსებული პარამეტრებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზების გათვალისწინებით;
- ვ) თეატრისთვის დამატებითი საკუთარი შემოსავლების მოძიების სტრატეგია დაფინანსების შესაძლო საერთაშორისო და ადგილობრივი წყაროების მითითებით;
- ზ) სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხედვა.

საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობით (ერთი ეგზემპლარი) და ელექტრონულად.

გადაწყვეტილების მიღების წესი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭო, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, აფასებს თითოეულ კანდიდატს;

საბჭო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია და/ან ცალკეულ კანდიდატთან გამართოს გასაუბრება;

გამარჯვებულ კანდიდატთა გამოსავლენად საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით საბჭოს წევრთა არანაკლებ 5 ხმით;

ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი.

სარეკომენდაციო საბჭო გამარჯვებულ კანდიდატებს, რეკომენდაციის სახით, დასანიშნად წარუდგენს მინისტრს.

საბჭოს წევრებს არ აქვთ კანდიდატთა წარდგენის და საინიციატივო ჯგუფებში მონაწილეობის, ასევე სამხატვრო ხელმძღვანელების კონკურსში მონაწილეობის უფლება.

დოკუმენტაციის მიღების ვადები

საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება 2017 წლის 14 აგვისტოს 17:00 საათამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ტელ. 214 53 01